ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7822659

ნომერი: AR11130919

თარიღი : 25.02.2026

გაცემის თარიღი : 04.03.2026

გაცნობის თარიღი : 04.03.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ინოვაციების ქუჩა, N20, N22, N24, N26, N28, N30;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე თაბუკაშვილი პ/ნ 01010009276
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ III კვ. კორ. 4 ბ. 26

ორგანიზაცია:

- შპს "ლენდმარკ პროჯექტი" კოდი: 405221843

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 08 დეკემბრის №7733121 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 25 თებერვალს №AR11130919 განცხადებით მომართა ალექსანდრე თაბუკაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 08 დეკემბრის №7733121 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 08 დეკემბრის №7733121 ბრძანებით №01.15.01.004.070 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (№4 შენობა) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

სამსახურის 2026 წლის 10 თებერვლის №7799963 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2025 წლის 08 დეკემბრის №7733121 ბრძანებაში და საერთო ფართობად დაფიქსირდა 6510.5 კვ.მ., კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 518.1 კვ.მ., დამხმარე ფართობად 186.6 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 1540.2 კვ.მ., საერთო ფართობად 6510.5 კვ.მ. სამსახურის 2025 წლის 08 დეკემბრის №7733121 ბრძანებით შეთანხმებული -3.00, 0.00, +3.30 და 13.45 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდა №AR11125200 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით.

განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2025 წლის 08 დეკემბრის №7733121 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ, განმცხადებელი ითხოვს კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 518.1 კვ.მ-ის ნაცვლად 520.8 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 6510.5 კვ.მ-ის ნაცვლად 6513.2 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან დგინდება რომ წარმოდგენილი 0.00 ნიშნულის (IV ბლოკი) გეგმა არ იცვლება, აღნიშნულ გეგმაზე ხდება მხოლოდ ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 08 დეკემბრის №7733121 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 08 დეკემბრის №7733121 ბრძანებაში და:

1.1. ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდეს 520.8 კვ.მ., საერთო ფართობად 6513.2 კვ.მ.

1.2. სამსახურის 2025 წლის 08 დეკემბრის №7733121 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის (IV ბლოკი) გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.

2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 08 დეკემბრის №7733121 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 08 დეკემბრის №7733121 და 2026 წლის 10 თებერვლის №7799963 ბრძანებებთან ერთად.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.